



ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება #061/12

1. ფაქტები

ადვოკატი ხვდებოდა კლიენტს და მისი ოჯახის წევრებს მათსავე სახლში, სადაც ხდებოდა გასაუბრება საქმის გარემოებებთან დაკავშირებით. ლ. ა.-ს ადვოკატი შ. ბ. საადვოკატო მომსახურებას უწევდა სამემკვიდრეო დავაზე და ცდილობდა დავის მორიგებით დასრულებას. ადვოკატმა შ. ბ.-მ წინასწარ არ მიაწოდა იურიდიული რჩევა კლიენტს, თუ კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად, რომელი მოწმის განმარტებას ექნებოდა მნიშვნელობა კლიენტის ინტერესების საუკეთესოდ წარმოსაჩენად.

2. პროცესუალური ისტორია

ადვოკატთა ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ლ. ა.-მ და მოითხოვა ადვოკატ შ. ბ.-ისთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება. 2013 წლის 11 მარტს მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ შ. ბ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღმდგომის თაობაზე.

3. სამართლებრივი ანალიზი

შეთანხმა თუ არა ადვოკატმა კლიენტთან დაცვის პოზიცია და წარმომადგენლობის ტაქტიკა? „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.“

ადვოკატი ხვდებოდა კლიენტს და მისი ოჯახის წევრებს მათსავე სახლში, სადაც ხდებოდა გასაუბრება საქმის გარემოებებთან დაკავშირებით, მაგრამ ვერ დასტურდება, რომ შ. ბ.-ს რაიმე სახის კომუნიკაცია ჰქონდა მოწმეებთან. საქმის მომზადების მიზნით, ადვოკატის ვალდებულებაა დაცვის პოზიცია და წარმომადგენლობის ტაქტიკა შეათანხმოს კლიენტთან, ამასთან, კლიენტის ინტერესების უპირატესობის გათვალისწინებით, სამართლებრივად შეაფასოს და კლიენტთან ერთად გადაწყვიტოს სხდომაზე წარსადგენ მოწმეთა განმარტებების მნიშვნელობა კლიენტის საუკეთესო ინტერესებისათვის, კანონით მინიჭებული შესაძლებლობის ფარგლებში. ეთიკის კომისია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სამემკვიდრეო ქონების ფაქტობრივი ფლობის დასადგენად, სხვა მტკიცებულებებთან ერთად მნიშვნელოვანია მოწმეთა ახსნა-განმარტებები, შესაბამისად, ადვოკატის ვალდებულებაა კლიენტთან შეთანხმებით, კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით, ურჩიოს კლიენტს სამართლებრივად რამდენად მნიშვნელოვანი იქნება მისი სადაო საკითხისათვის კონკრეტული მოწმის წარდგენა სასამართლო სხდომაზე გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად და მხოლოდ ამის შემდეგ წარადგინოს კონკრეტულ მოწმეთა მოწვევის შუამდგომლობა. ადვოკატს კლიენტთან არ შეუთანხმებია დაცვის პოზიცია და წარმომადგენლობის ტაქტიკა.

შეთანხმა თუ არა ადვოკატმა კლიენტს სასამართლოში წარსადგენი პოზიცია? ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-11 ნაწილის მიხედვით, „ადვოკატი ვალდებულია შეეცადოს დავის მინიმალური დანახარჯებით გადაწყვეტას და ურჩიოს კლიენტს მორიგება, მაგრამ მორიგების პირობები წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული და მოწონებული კლიენტის მიერ“.

ლ. ა.-ს ადვოკატი შ. ბ. საადვოკატო მომსახურებას უწევდა სამემკვიდრეო დავაზე და ცდილობდა დავის მორიგებით დასრულებას. საჩივრის ავტორის განმარტებით, მისთვის მთავარი



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

**NEW VISION
UNIVERSITY**

**EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE**
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLOG)

იყო მშობლების ბინიდან წილის მიღება და მორიგების სხვა პირობაზე არ იყო თანახმა. ადვოკატმა ლ. ა.-ს წინასწარ არ შეუთანხმა სამემკვიდრეო ქონების ფაქტობრივი ფლობით დაუფლებასთან სასამართლოში წარსადგენი პოზიცია. ადვოკატმა კლიენტთან უნდა შეათანხმოს ამ უკანასკნელის საქმის წარმოებისას განსახორციელებელი მოქმედებები, რაც გულისხმობს კლიენტისაგან ინფორმაციის მიღებას, მისი პოზიციის, მოთხოვნის გაგებას და შემდეგ ადვოკატის მიერ კლიენტისათვის პროფესიული რჩევის მიცემას, მომავალში განსახორციელებელი ქმედებების თაობაზე; ადვოკატი და კლიენტი ერთდროულად შეიმუშავენ საადვოკატო მომსახურების ტაქტიკას ან ადვოკატი დამოუკიდებლად შეიმუშავებს საქმეზე წარმომადგენლობის სტრატეგიას კლიენტისათვის ინფორმაციის რეგულარული მოწოდებით და საპროცესო მოქმედებათა განსახორციელებლად მისგან სათანადო უფლებამოსილების მინიჭებით. ადვოკატმა კლიენტს წინასწარ არ შეუთანხმა სასამართლოში წარსადგენი პოზიცია.

შეფასა თუ არა ადვოკატმა მოწმეების ხელთ არსებული ინფორმაციის მნიშვნელობა და მისცა თუ არა კლიენტს აღნიშნულთან დაკავშირებით რჩევა? „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

ადვოკატმა შ. ბ.-მ წინასწარ არ მიაწოდა იურიდიული რჩევა კლიენტს, თუ კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად, რომელი მოწმის განმარტებას ექნებოდა მნიშვნელობა კლიენტის ინტერესების საუკეთესოდ წარმოსაჩენად. კვალიფიციურ საადვოკატო მომსახურებას არ ექნება ადგილი, თუ ადვოკატი არ შეაფასებს მოწმეების ხელთ არსებული ინფორმაციის მნიშვნელობას კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ, კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით, რაც საბოლოოდ სასამართლოს მიერ უნდა იქნეს შეფასებული სხვა მტკიცებულებებთან ერთად. ადვოკატმა დაარღვია კლიენტის კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულება, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად მოიცავს იმ სამართლებრივი რისკების შეფასებას, რომელიც კონკრეტული მტკიცებულებების გამოკვლევას და ამ მტკიცებულებათა კლიენტის კანონიერ ინტერესებთან შემხებლობას უკავშირდება. ადვოკატმა წინასწარ არ მიაწოდა იურიდიული რჩევა კლიენტს, თუ რომელი მოწმის განმარტება იქნებოდა მნიშვნელოვანი და არ შეაფასა მოწმეების ხელთ არსებული ინფორმაციის მნიშვნელობა.

ადვოკატ შ. ბ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვრა გაფრთხილება.